



მოსახლეობის დამოკიდებულება მასობრივი და პროფესიული სპორტის განვითარების მიმართ

რაოდენობრივი კვლევის ანგარიში



პროექტის ხელმძღვანელი: ელენე ჩომახიძე

თბილისი
2014 წელი, სექტემბერი

შინაარსი:

შესავალი	3
1. დამოკიდებულება სპორტის განვითარების მიმართ	4
2. არსებული მდგომარეობის შეფასება.....	10
3. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვითარების შეფასება.....	28
4. სამინისტროს საქმიანობის შეფასება – სპორტის მიმართულება.....	32
5. მასობრივი სპორტი	60
5.1. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშემშლელი მიზეზები	60
5.2. მასობრივი სპორტის პრევენციული როლი მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დასაცავად.....	74
5.3. სპორტის ცალკეულ სახეობათა პოპულარობა და ხელმისაწვდომობა.....	83
6. პროფესიული სპორტი.....	98
7. სამინისტროს ახალგაზრდული პროგრამების შეფასება	101
8. ჯანსაღი ცხოვრების წესი	114

შესავალი

კვლევის მიზანი. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო მასობრივი და პროფესიული სპორტის განვითარებასთან, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასთან, აგრეთვე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსახლეობის აზრის შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე ჩატარებულ იქნა თვისებრივი კვლევა (ფოკუს-ჯგუფი), რომლის შედეგების საფუძველზე შემუშავდა კითხვარი რაოდენობრივი კვლევისათვის. კითხვარი დაზუსტდა საპილოტო გამოკითხვის (50 რესპონდენტი) მასალის მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით დამუშავების საფუძველზე.

შერჩევა. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით რეპრეზენტაბელურ შერჩევაზე და მოიცავდა ქვეყნის მოსახლეობის ათ რეგიონს და დედაქალაქს. შერჩევა დაკომპლექტდა სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება სტრატეგიული შემთხვევითი არჩევის პრინციპს. კერძოდ, არჩევა ხდება სამი ნიშნით – სქესი, ასაკი და საცხოვრებელი ადგილი. შერჩევაში თითოეული ამ სამი ნიშნით გამოყოფილი ჯგუფის (სტრატის) რაოდენობა განისაზღვრება გენერალურ ერთობლიობაში მისი წილის (პროცენტის) შესაბამისად. ამის შემდეგ შერჩევის თითოეული წევრის კონკრეტული მისამართის არჩევა ხდება მარტივი შემთხვევითი არჩევის პრინციპით. შესაბამისად, დანარჩენი დემოგრაფიული ნიშნების (განათლება, ეროვნება, დასაქმება და მატერიალური მდგომარეობა) მიხედვით რესპონდენტთა განაწილება შემთხვევითია.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2014 წლის 27-30 სექტემბერს. ყველა ინტერვიუ ტარდებოდა ინდივიდუალურად, პირისპირ გამოკითხვის მეთოდით.

სულ გამოკითხულ იქნა **2200 პირი**, აქედან 16 ანკეტა უვარგისი აღმოჩნდა; შესაბამისად, დამუშავდა 2184 პირის მასალა.


ცდომილება 95%-ის სანდოობის დონეზე $\pm 2.14\%$ -ს შეადგენს, ხოლო 99%-ის სანდოობის დონეზე – $\pm 3.21\%$ -ს.

მასალის დამუშავება. მასალა დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის – SPSS-21 გამოყენებით.

1. დამოკიდებულება სპორტის განვითარების მიმართ

წინამდებარე ბლოკის მიზანი იყო გარკვევა იმისა, თუ რამდენად აქტუალურად არის მიჩნეული სპორტის განვითარება. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე სავსებით შესაძლებელია, რომ ამ საკითხის აქტუალურობა ნაკლებად გაცნობიერებულია. საქმე ისაა, რომ იმ პირობებში, როცა ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ არის, წარმოიქმნება ეგრეთ წოდებული „გვირაბისეული აღქმა“, რომლის შედეგადაც ყველა სხვა დანარჩენი პრობლემა ან აქტუალობას კარგავს, ანდა საერთოდ აღარ აღიქმება პრობლემად. მიღებული შედეგი წარმოდგენილია პირველ ნახატზე.

რამდენად მიზანშეწონილია საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის?




ნახ. 1

როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა 45% აცნობიერებს, რომ საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის მიზანშეწონილია, ვინაიდან ეს ერის გასანსაჯებაში დაბანდებული ფულია. კიდევ 36%-ს მიაჩნია, რომ ეს მიზანშეწონილია, მაგრამ იმ დათქმით, რომ პრიორიტეტული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის არამიზანშეწონილად მიაჩნია მხოლოდ 17%-ს. აღსანიშნავია, რომ ძალიან მცირეა იმ პირთა რიცხვი, ვისაც კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა (ჯამში 2%).

თუმცა, რეგიონულ ჭრილში სურათი არაერგვაროვანია (ნახ. 2). სიხშირე პასუხისა – „სპორტის განვითარებისათვის საბიუჯეტო სახსრების წარმართვა ნაკლებად მიზანშეწონილია“ – ყველაზე მაღალია რაჭა-ლეჩხუმში (40%), მცხეთა-მთიანეთში (32%),


ქვემო ქართლში (29%), ხოლო ყველაზე დაბალი – შიდა ქართლსა (7%) და კახეთში (10%).

რამდენად მიზანშეწონილია საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის?




ნახ. 2

რამდენად მიზანშეწონილია საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის?




ნახ. 3

რამდენად მიზანშეწონილია საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის?



ნახ. 4

რამდენად მიზანშეწონილია საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის?




ნახ. 5

აღინიშნება გარკვეული გენდერული განსხვავებაც: სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის მიზანშეწონილად (დათქმის გარეშე) მიაჩნია მამაკაცების 50%-ს და ქალების მხოლოდ 40%-ს (ნახ. 3). რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს (ნახ. 4), ერთადერთი განსხვავება ისაა, 18-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტია იმ პირთა რიცხვი, ვისაც სპორტის განვითარება მიზანშეწონილად (დათქმის გარეშე) მიაჩნია. დასაქმების ჯგუფში განსხვავება სანდო არ არის. დაბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მკვეთრი განსხვავება გამოვლინდა მატერიალური მდგომარეობის მიხედვით: რაც უფრო მძიმეა მატერიალური მდგომარეობა, მით ნაკლებს მიაჩნია მიზანშეწონილად ფულის წარმართვა სპორტის განვითარებისათვის (ნახ. 5).


ამრიგად, თუ შევაჯერებთ ზემოაღნიშნულს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი, ვისაც საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის არ მიზანშეწონილად მიაჩნიათ, უმცირესობაში არიან. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომ როგორც პროფესიული, ისე მასობრივი სპორტის განვითარება ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალური საკითხია (ნახ. 6-7). რეგიონულ ჯგუფში (ნახ. 8-9) აღინიშნება გარკვეული განსხვავება, მაგრამ ის არსობრივი არ არის – უმრავლესობას სპორტის განვითარება აქტუალურად მიაჩნია. აღსანიშნავია ისიც, რომ განსხვავება მასობრივ და პროფესიულ სპორტს შორის არ დასტურდება – ორივე მიმართულების განვითარება თანაბრად აქტუალურად არის მიჩნეული.

რამდენად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის პროფესიული სპორტის განვითარება?




ნახ. 6

რამდენად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის მასობრივი სპორტის განვითარება?




ნახ. 7

რამდენად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის პროფესიული სპორტის განვითარება?



ნახ. 8


რამდენად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის მასობრივი სპორტის განვითარება?



ნახ. 8


ამ თვალსაზრისით განსხვავება სქესის, ასაკის, განათლების, დასაქმების მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის არ აღინიშნება (იხ. დანართი 2). ერთადერთი განსხვავება გამოვლინდა მატერიალური მდგომარეობის მიხედვით: კერძოდ, კარგი მატერიალური მდგომარეობის მქონე პირთა ჯგუფში სპორტის განვითარება ნაკლებად აქტუალურად არის მიჩნეული (ნახ. 9-10). ეს, ალბათ, გასაკვირი არ არის: მათთვის ეს ხომ მართლაც ნაკლებად აქტუალურია... თუმცა, ამ ჯგუფშიც სიხშირე პასუხისა „აქტუალური არ არის“ ისეთივეა, როგორც სხვა დანარჩენ ჯგუფში.

რამდენად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის პროფესიული სპორტის განვითარება?



ნახ. 9

რამდენად აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის მასობრივი სპორტის განვითარება?



ნახ. 10

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, სპორტის – როგორც პროფესიულის, ისე მასობრივის – განვითარება ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალური საკითხია. ასე ფიქრობს უმრავლესობა, თუმცა მათი ნაწილი იმ დათქმით, რომ პრიორიტეტული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. ისინი, ვისაც საბიუჯეტო სახსრების წარმართვა სპორტის განვითარებისათვის არამიზანშეწონილად მიაჩნიათ, უმცირესობაში არიან. განსხვავება მასობრივ და პროფესიულ სპორტს შორის არ დასტურდება – ორივე მიმართულების განვითარება თანაბრად აქტუალურად არის მიჩნეული. ამ თვალსაზრისით არსებითი განსხვავება საცხოვრებელი ადგილის, აგრეთვე დემოგრაფიული ნიშნებით გამოყოფილ ჯგუფებს შორის არ არის.

2. არსებული მდგომარეობის შეფასება

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით (სულ 14 მიმართულება) არსებული მდგომარეობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა 3-საფეხურიანი სკალა: „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“ და „ცუდი“. გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო პასუხი „არ ვარ ინფორმირებული“. ტექსტის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად მიღებული შედეგი სიხშირეთა განაწილების სახით წარმოდგენილია დანართი (იხ. დანართი 1).


როგორც მიღებული პასუხების სიხშირეთა განაწილებიდანაც ჩანს, შეფასება არც თუ ისე კარგია: თოთხმეტივე მიმართულებით პასუხის – „კარგი“ – სიხშირე თითქმის ყველგან ერთნიშნა რიცხვია; ყველაზე მაღალია სიხშირე პასუხისა „ცუდი“. მიღებული სურათის უფრო თვალსაჩინოდ წარმოსადგენად გამოვითვალეთ საშუალო მაჩვენებლები¹, რაც შეთავაზებული მიმართულებით არსებული

¹ ასეთი მონაცემების შემთხვევაში საშუალო მაჩვენებლის სახით გამოიყენება მედიანა – 50-ე პროცენტული.

მდგომარეობის მოსახლეობის მიერ შეფასების შეპირისპირების საშუალებას იძლევა. მიღებული შედეგი წარმოდგენილია მე-11 ნახატზე. ამ შემთხვევაში მაქსიმალურად დადებით შეფასებას („კარგი“) „შეესაბამება“ „1“-ის ტოლი რიცხვითი მნიშვნელობა; შესაბამისად, მედიანის დადებითი მნიშვნელობა დადებით შეფასებას ნიშნავს. უარყოფითი შეფასება გამოხატულია უარყოფითი რიცხვით – მაქსიმალურად უარყოფით შეფასებას შეესაბამება მაჩვენებლის „-1“-ის ტოლი რიცხვითი მნიშვნელობა. პასუხი – „დამაკმაყოფილებელი“ გამოსახულია „0“-ით (ნულთან მიახლოებული მნიშვნელობით).

როგორც ვხედავთ, ყველა საშუალო მაჩვენებელი უარყოფითი რიცხვით არის გამო-სახული, რაც ნიშნავს, რომ თოთხმეტევე შეთავაზებული მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება უახლოვდება პასუხს „ცუდი“. ყველაზე ნაკლებად უარყოფითი შეფასება მიიღო ორმა მიმართულებამ – სხვადასხვა სპორტული ნაკრების მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო შეჯიბრებებზე“ და სპორტის ეროვნული ტრადიციული სახეობების შენარჩუნება და განვითარება. ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო სპეციალური საჭიროების მქონე პირთა სპორტის ხელშეწყობის/სპორტული ინფრასტრუქტურის ადაპტირების მიმართულებამ. ძალიან დაბალია აგრეთვე სპორტული განათლებისა და მწვრთნელების მომზადების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება, რაც, როგორც ჩანს, წინა ხელისუფლების პერიოდში სპორტული აკადემიის დახურვას უკავშირდება.

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 11

შეფასების საშუალო მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე წარმოდგენილია ნახ. 12-22; თვალსაჩინოებისათვის ნახ. 23-36 ასახულია თითოეული მიმართულების შეფასების მაჩვენებლები რეგიონულ ჭრილში.

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება


აჭარა



ნახ. 12


სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება

იმერეთი




ნახ. 13

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 14

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 15

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 16

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 17

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 18

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 19

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 20

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 21

სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 22


სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასება




ნახ. 23




ნახ. 24




ნახ. 25




ნახ. 26




ნახ. 27




ნახ. 28




ნახ. 29




ნახ. 30




ნახ. 31




ნახ. 32




ნახ. 33



ნახ. 34



ნახ. 35



ნახ. 36

როგორც ვხედავთ, დადებითი შეფასება გვაქვს მხოლოდ სამცხე-ჯავახეთსა და გური-
აში. სამცხე-ჯავახეთში დადებითი მაჩვენებლით შეფასებულია „სხვადასხვა სპორტუ-
ლი ნაკრების მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო შეჯიბრებებზე“ (0.35)
და „სპორტის ეროვნული ტრადიციული სახეობების შენარჩუნება და განვითარება“
(0.11). გარდა ამისა, კიდევ ოთხი მიმართულებით – „ნიჭიერი ახალგაზრდა
სპორტსმენებისათვის სათანადო პირობების შექმნა“, „საბავშვო სპორტის
განვითარება“, „მასობრივი სპორტის სახეობების განვითარება“ და „სპორტული
ინფრასტრუქტურა აღდგენა-აშენება“ – მდგომარეობა შეასებულია, როგორც
დამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება გურიას, აქ დადებითად შეფასებულია მხოლოდ
„სხვადასხვა სპორტული ნაკრების მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო
შეჯიბრებებზე“ (0.16); კიდევ ერთი მიმართულებით – მდგომარეობა შეფასებულია,
როგორც დამაკმაყოფილებელი.

ამასთანავე, შეფასების მაჩვენებლების განსხვავებული რიცხვითი მნიშვნელობის
მიუხედავად, ზოგადი სურათი მაინც მსგავსია – ამის ნათელი დასტურია ნახ. 23-36
ასახული გრაფიკების მსგავსი ფორმა.

ამრიგად, ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ორმა მიმართულებამ – სხვადასხვა
სპორტული ნაკრების მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო
შეჯიბრებებზე“ და „სპორტის ეროვნული ტრადიციული სახეობების შენარჩუნება და


განვითარება“, ხოლო ყველაზე დაბალი – სპეციალური საჭიროების მქონე პირთა სპორტის ხელშეწყობის, აგრეთვე სპორტულ განათლებასთან დაკავშირებულმა მიმართულებამ.

დაბოლოს, ამ თვალსაზრისით რამდენამდე არსებითი განსხვავება განსჯეს, ასაკის, განათლების, დასაქმების, მატერიალური მდგომარეობის მიხედვით მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის არ აღინიშნება (იხ. დანართი 2).

3. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვითარების შეფასება

ამ ბლოკის პირველი კითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შეიცვალა თუ არა, მოსახლეობის აზრით, ვითარება სპორტის სფეროში. პირველი კითხვა პროფესიულ სპორტს ეხებოდა (იხ. ნახ. 37).

იგრძნობა თუ არა რაიმე სასიკეთო ცვლილებები პროფესიული სპორტის განვითარების თვალსაზრისით?




ნახ. 37

როგორც ვხედავთ, ჭარბობს პასუხი „არაფერი შეცვლილა“. მაგრამ, ამასთანავე, დადებითი შეფასების მაჩვენებელი (32%) უფრო მაღალია, ვიდრე უარყოფითისა (13%).

ანალოგიური სურათია რეგიონულ ჭრილშიც – ყველა რეგიონში პასუხის – „არაფერი შეცვლილა“ – სიხშირე ყველაზე მაღალია (ნახ. 38). ამ პასუხის სიხშირე ყველაზე მაღალია სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელოში, ყველაზე დაბალი – თბილისსა და გურიაში. თუმცა, ასევე ყველა რეგიონში დადებითი შეფასების სიხშირე (სასიკეთო


ცვლილებები იგრძნობა) უფრო მაღალია, ვიდრე უარყოფითი შეფასებისა. ეს ნათლად ჩანს 39-ე ნახატიდან, რომელზეც ასახულია შეჯამებული მაჩვენებლები.

იგრძნობა თუ არა რაიმე სასიკეთო ცვლილებები პროფესიული სპორტის განვითარების თვალსაზრისით?



ნახ. 38

იგრძნობა თუ არა რაიმე სასიკეთო ცვლილებები პროფესიული სპორტის განვითარების თვალსაზრისით? (შეჯამებული მაჩვენებლები)




ნახ. 39

რაიმე არსებითი განსხვავება გენდერული ნიშნით არ აღინიშნება: მამაკაცებს შორის უმნიშვნელოდ მეტს მიაჩნია, რომ პროფესიული სპორტის განვითარების თვალსაზრისით სასიკეთო ცვლილებები იგრძნობა (34% და 28% შესაბამისად), ოდნავ უფრო მაღალია სიხშირე პასუხისა – „არაფერი შეცვლილა“ (45% და 41% შესაბამისად), ხოლო უარყოფითი პასუხის სიხშირე ერთნაირია (13% და 14% შესაბამისად). ასაკის, განათლების, დასაქმების, მატერიალური მდგომარეობის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის განსხვავება არ დასტურდება: ტენდენცია ანალოგიურია.


მეორე კითხვა მასობრივი სპორტის განვითარებას ეხებოდა (ნახ. 40). როგორც ვხედავთ, ანალოგიურია ვითარება მასობრივი სპორტის განვითარების შემთხვევაშიც: უმრავლესობას (55%) მიაჩნია, რომ ამ სფეროში არაფერი შეცვლილა, ხოლო 22% ფიქრობს, რომ გარკვეული სასიკეთო ცვლილებები იგრძნობა. ისინი, ვინც ამბობს, რომ მდგომარეობა გაუარესდა, უმცირესობაში არიან (9%). % შესაბამისად), ხოლო უარყოფითი შეფასების სიხშირე ერთნაირია (9%). პასუხების განაწილება ამ კითხვაზე რეგიონულ ჭრილში ასახულია 41-ე ნახატზე.

იგრძნობა თუ არა რაიმე სასიკეთო ცვლილებები მასობრივი სპორტის განვითარების თვალსაზრისით?



ნახ. 40

იგრძნობა თუ არა რაიმე სასიკეთო ცვლილებები მასობრივი სპორტის განვითარების თვალსაზრისით?



ნახ. 41

როგორც 41-ე ნახტიდან ჩანს, ანალოგიური ტენდენცია აღინიშნება რეგიონულ ქრილშიც – ყველა რეგიონში პასუხის – „არაფერი შეცვლილა“ – სიხშირე ყველაზე მაღალია. ამ პასუხის სიხშირე ყველაზე მაღალია შიდა ქართლში (65%), სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელოში, ყველაზე დაბალი – მცხეთა-მთიანეთში (34%), ქვემო ქართლში (46%), გურიასა (49%) და თბილისში (51%). პროფესიული სპორტის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც დადებითი შეფასება აღემატება უარყოფითს.


რაიმე არსებითი განსხვავება სქესის, ასაკის, განათლების, დასაქმების, მატერიალური მდგომარეობის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის განსხვავება ისევ არ დასტურდება.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა უმეტეს ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პროფესიული და მასობრივი სპორტის განვითარების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. მაგრამ, ამასთანავე, ამ ორ კითხვაზე პასუხების შედარება ცხადყოფს, რომ პროფესიული სპორტის შემთხვევაში დადებითი მაჩვენებლის სიხშირე მაინც უფრო მაღალია (32% და 22% შესაბამისად), აგრეთვე უფრო დაბალია სიხშირე პასუხისა „არაფერი შეცვლილა“ (43% და 55%). ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ხელისუფლების შემცვლის შემდეგ პროფესიული სპორტის სფეროში შექმნილი მდგომარეობის შეფასება მაინც უფრო დადებითია.

4. სამინისტროს საქმიანობის შეფასება – სპორტის მიმართულება

ამ ბლოკის პირველი კითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს როლს სახელმწიფოს შემდგომ განვითარებაში, აგრეთვე რამდენად ახერხებს ამ როლის შესრულებას. მიღებული შედეგი წარმოდგენილია 42-ე ნახატზე.


შეუძლია თუ არა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვანი როლის შესრულება სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის



ნახ. 41

როგორც ვხედავთ, უმრავლესობა (82%) აღიარებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოს შემდგომ განვითარებისათვის; პასუხის „არ შეუძლია“ სიხშირე 7%-ს შეადგენს. მაგრამ, ამასთანავე, მხოლოდ 17%-ს მიაჩნია, რომ სამინისტრო ამ როლს ასრულებს, ხოლო 65% ფიქრობს, რომ ის ამას ვერ აკეთებს, რასაც უმეტესობა (41%) ობიექტური მიზეზებით ხსნის, ხოლო უფრო მცირე ნაწილი (24%) – სუბიექტურით (ძირითადად არაპროფესიონალიზმით). შედეგი რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე წარმოდგენილია 43-ე ნახატზე.

შეუძლია თუ არა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვანი როლის შესრულება სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის



ნახ. 42

როგორც 43-ე ნახატიდან ჩანს, სურათი, ძირითადად, ყველა რეგიონში მსგავსია: ყველაზე დაბალია სიხშირე პასუხისა „არ შეუძლია“ და ყველაზე ხშირია პასუხი „შეუძლია, მაგრამ ვერ ასრულებს სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო“.

რამდენამდე არსებითი განსხვავება სქესის, ასაკის, განათლების, დასაქმების მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის არ დასტურდება. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ კეთილგანწყობა იზრდება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე; კერძოდ, უფრო მაღალია პირველი პასუხის („შეუძლია და ასრულებს კიდევ“) სიხშირე.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესაფასებლად რესპონდენტებს შევთავაზეთ სამინისტროს ძირითადი ამოცანების ჩამონათვალი და ვთხოვეთ სამინისტროს მიერ დასახული კურსის ეფექტურობის შეფასება თითოეული ამ მიმართულებით. შესაფასებლად გამოყენებულ იქნა 4-საფეხურიანი სკალა: „ნამდვილად ეფექტურია“, უფრო ეფექტურია, ვიდრე არაეფექტური“, „უფრო არაეფექტურია, ვიდრე ეფექტური“ და ნამდვილად არაეფექტურია“. ტექსტის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად მიღებული შედეგი სიხშირეთა განაწილების სახით წარმოდგენილია დანართში (იხ. დანართი 1).


როგორც მიღებული პასუხების სიხშირეთა განაწილებიდანაც ჩანს, თხუთმეტი მიმართულებიდან თეთრმეტის შეფასებაში პასუხის – „ეფექტურია“ სიხშირე უფრო მაღალია, ვიდრე პასუხისა „ეფექტურია“: ყველა ამ შემთხვევაში დაახლოებით ნახევარს მიაჩნია, რომ ამ თეთრმეტი მიმართულებით სანისტროს მიერ დასახული კურსი ეფექტურია. სტუდენტური სპორტის განვითარებისა და სპორტული განათლების მიმართულებით დასახული კურსის შეფასებისას პასუხების – „ეფექტურია“ და „არაეფექტურია“ – სიხშირე თანაბარია (43% და 40%, 42% და 42% შესაბამისად), ხოლო სპეციალური საჭიროების მქონე პირთა სპორტთან დაკავშირებით (სპეციალური საჭიროების მქონე პირთა სპორტის განვითარების ხელშეწყობას და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის სპორტული ინფრასტრუქტურის ადაპტირება, გარემოს კეთილმოწყობა) უარყოფითი შეფასების სიხშირე დადებითს აღემატება (45% და 39% შესაბამისად).

მიღებული სურათის უფრო თვალსაჩინოდ წარმოსადგენად ამ შემთხვევაშიც გამოვი-თვალეთ საშუალო მაჩვენებლები², რაც შეთავაზებული მიმართულებით არსებული მდგომარეობის მოსახლეობის მიერ შეფასების შეპირისპირების საშუალებას იძლევა. მიღებული შედეგი წარმოდგენილია 44-ე ნახატზე. ამ შემთხვევაში მაქსიმალურად დადებით შეფასებას („ნამდვილად ეფექტურია“) „შეესაბამება“ „1.5-ის ტოლი რიცხვითი მნიშვნელობა; შესაბამისად, მედიანის დადებითი მნიშვნელობა დადებით შეფასებას ნიშნავს. უარყოფითი შეფასება გამოხატულია უარყოფითი რიცხვით –

² ასეთი მონაცემების შემთხვევაში საშუალო მაჩვენებლის სახით გამოიყენება მედიანა – 50-ე პოცენტელი.


მაქსიმალურად უარყოფით შეფასებას შეესაბამება მაჩვენებლის „-1.5“-ის ტოლი რიცხვითი მნიშვნელობა. შუალედური პასუხი (არც ეფექტურია და არც არაეფექტური, რაც, სავარაუდოდ, უფრო ჩამოყალიბებული აზრის არქონაზე მიუთითებს) გამოსახულია „0“-ით (ნულთან მიახლოებული მნიშვნელობით).

სამინისტროს კურსის შეფასება



ნახ. 44


სამინისტროს კურსის შეფასება




ნახ. 45

სამინისტროს კურსის შეფასება

იმერეთი




სამინისტროს კურსის შეფასება



ნახ. 47

სამინისტროს კურსის შეფასება


ქვემო ქართლი



ნახ. 48


სამინისტროს კურსის შეფასება

მცხეთა-მთიანეთი




სამინისტროს კურსის შეფასება

შიდა ქართლი



ნახ. 50


სამინისტროს კურსის შეფასება



ნახ. 51


სამინისტროს კურსის შეფასება

რაჭა-ლეჩხუმი




ნახ. 52

სამინისტროს კურსის შეფასება



ნახ. 53


სამინისტროს კურსის შეფასება



ნახ. 54

სამინისტროს კურსის შეფასება

სამეგრელო




ნახ. 55


როგორც 44-ე ნახატიდან ჩანს, ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო მიმართულებამ – „სხვადასხვა სპორტული ნაკრების მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო შეჯიბრებებზე“. შედარებით მაღალია აგრეთვე შეფასება კიდევ ორი მიმართულებით – „სპორტის ეროვნული ტრადიციული სახეობების შენარჩუნება და განვითარება“ და „ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში“. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მაჩვენებლების რიცხვითი მნიშვნელობა მაინც დაბალია (როგორც ითქვა, მაქსიმალური მნიშვნელობა („ნამდვილად ეფექტურია“) 1.5-ს შეადგენს). სპორტული განათლების მიმართულებით შეფასება 0-ის ტოლია, ხოლო სპეციალური საჭიროების მქონე პირთა სპორტის ხელშეწყობის მიმართულებით – უარყოფითი. თითქმის ანალოგიური სურათი იქნა მიღებული სპორტის სფეროში მდგომარეობის შეფასებისას, რაც, რა თქმა, სრულიად ბუნებრივია – ამ სფეროს განვითარებისათვის პასუხისმგებლობა ხომ სამინისტროს ეკისრება.

შეფასების საშუალო მაჩვენებლები რეგიონულ ჭრილში ასახულია ნახ. 45-55. მაჩვენებლების შედარების გასამარტივებლად აგრეთვე წარმოდგენილია რეგიონების მოსახლეობის შეფასება ყველა ცალკეული მიმართულების მიხედვით (ნახ. 56-70).

სამინისტროს კურსის შეფასება




ნახ. 56




ნახ. 57


სამინისტროს კურსის შეფასება




ნახ. 58



ნახ. 59




ნახ. 60




ნახ. 61


სამინისტროს კურსის შეფასება




ნახ. 62



ნახ. 63




ნახ. 64




ნახ. 65


სამინისტროს კურსის შეფასება




ნახ. 66



ნახ. 67




ნახ. 68



ნახ. 69

სამინისტროს კურსის შეფასება




ნახ. 70

შეფასების მაჩვენებლის განსხვავებული რიცხვითი მნიშვნელობის მიუხედავად, მაინც შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროს კურსის ეფექტურობის შეფასება უმრავლეს რეგიონებში საერთო სურათის მსგავსია – ვგულისხმობთ იმას, რომ აქ ყველაზე მაღალია შეფასება მიიღო სამმა მიმართულებამ: „ჩვენი სხვადასხვა სპორტული ნაკრების მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო შეჯიბრებებზე“, „სპორტის ეროვნული ტრადიციული სახეობების შენარჩუნება და განვითარება“ და „ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში“, ხოლო ყველაზე დაბალი – ორმა მიმართულებამ – სპორტული განათლებისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა სპორტის ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია აჭარა, სადაც სურათი ცალკეულ მიმართულებათა შეფასების თვალსაზრისით არ ემთხვევა საერთო სურათს; გარდა ამისა, აქ უარყოფითი მაჩვენებელი არ აღინიშნა (იხ. ნახ. 43). უარყოფითი მაჩვენებლები არც სამცხე-ჯავახეთში (იხ. ნახ. 49) გამოვლინდა, თუმცა ცალკეულ მიმართულებათა შეფასების კუთხით სურათი მაინც საერთოს მსგავსია. ცალკეულ მიმართულებათა შეფასების კუთხით სურათი საერთოს მსგავსია შიდა ქართლშიც (იხ. ნახ. 48), მაგრამ აქ შეფასება ყველაზე უარყოფითია (ყველა მაჩვენებლის რიცხვითი სიდიდე უარყოფითია).

რამდენამდე არსებითი გენდერული განსხვავება არ დასტურდება. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ მამაკაცების შეფასება ოდნავ უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე ქალებისა. რაც შეეხება ასაკობრივ განსხვავებას, ისიც არსებითი არ არის: ხანდაზმულთა (56 წელზე მეტი) შეფასება ოდნავ უფრო მაღალია. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შეფასება უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დანარჩენებისა. საშუალო განათლების მქონე პირთა შეფასება უფრო დაბალია, ვიდრე სტუდენტებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირთა შეფასება. უფრო მკეთრია განსხვავება მატერიალური მდგომარეობის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის (იხ. ნახ. 71-75). ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, კეთილგანწყობა იზრდება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე. თუმცა, ისევ იცვლება მხოლოდ რიცხვითი მაჩვენებლები, ცალკეულ მიმართულებათა შეფასების თვალსაზრისით სურათი ემთხვევა საერთოს.

სამინისტროს კურსის შეფასება


შემოსავალი პრაქტიკულად ყველაფრის შესაძენად საკმარისია



ნახ. 71

სამინისტროს კურსის შეფასება


შემოსავალი სურსათზეც არ გვყოფნის



ნახ. 72

სამინისტროს კურსის შეფასება

სურსათის, ტანსაცმლისათვის გველოვნის, მაგრამ ხანგრძლივი მოხმარების საქონლისათვის არა



ნახ. 73


სამინისტროს კურსის შეფასება

სურსათის, ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთებისათვის გველოვნის, მაგრამ ძვირადღირებულისათვის არა



ნახ. 74

სამინისტროს კურსის შეფასება



ნახ. 75


სხვათა შორის, მსგავსი სურათი დასტურდება მოსახელობის პოლიტიკური განწყობების სფეროშიც: ახალი ხელისულების მიმართ კეთილგანწყობა უფრო მაღალია მამაკაცებს, ხანდაზმულებს, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებსა და უმაღლესი განათლების მქონეთა შორის. ნათქვამს შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ ყველა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებდა, რომ „ქართულ ოცნებას“ მეტი

მომხრე სწორედ მამაკაცებს, ხანდაზმულებსა და უმაღლესი განათლების მქონე პირთა შორის ჰყავდა.

რა თქმა უნდა, ასეთი მსგავსება გასაკვირი არ არის: რიგითი მოქალაქე სამინისტროს კურსის ეფექტურობა-არაეფექტურობას არ აფასებს ისე, როგორც ამას ექსპერტი გააკეთებდა, ანუ ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით. მისი შეფასება მხოლოდ სუბიექტურ შთაბეჭდილებას, აღქმას ეფუძნება, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მის ზოგად განწყობას, დამოკიდებულებას ხელისუფლებისა და, შესაბამისად, სამინისტროს, როგორც მისი ნაწილის, მიმართ.

სანისტროს კურსის შეფასების გარდა, რესპონდენტებს ვთხოვეთ უპირატესობის მიხედვით შვიდი შეთავაზებული მიმართულებების დალაგება: ყველაზე პრიორიტეტულს მიენიჭა პირველი ადგილი, ხოლო ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულს – ბოლო, მშვიდე ადგილი. მიღებული შედეგი ასახულია 76-ე ნახატზე.

სპორტის განვითარების რომელი მიმართულება უნდა იყოს პრიორიტეტული სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის?




ნახ. 76

როგორც ვხედავთ, ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია საბავშვო (სასკოლო) სპორტი. მას მოჰყვება მასობრივი სპორტი, რომლის განვითარება უფრო პრიორიტეტულ მიმართულებად ჩაითვალა, ვიდრე პროფესიული სპორტისა. ბოლო ადგილები დაიკავა „სპორტულმა განათლებამ და მეცნიერებამ“ და „სპორტული კანონმდებლობის დახვეწამ“.


შედეგი რეგიონულ ჭრილში წარმოდგენილია ნახ. 77-82. როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა რეგიონში სურათი ანალოგიურია: პირველი ორ ადგილი დაიკავა მასობრივმა სპორტმა და საბავშვო სპორტმა. მსგავსია სურათი ბოლო ადგილების მიხედვითაც. ერთადერთი გამონაკლისია მცხეთა-მთიანეთი, სადაც ყველაზე პრიორიტეტულად მიჩნეულია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მასობრივი სპორტი კი ბოლო ადგილზე გავიდა (იხ. ნახ. 79). სქესის, ასაკის, განათლების, დასაქმების,

მატერიალური მდგომარეობის მიხედვით მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ აღინიშნება (იხ. დანართი 2).


სპორტის განვითარების რომელი მიმართულება უნდა იყოს პრიორიტეტული სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის?



ნახ. 77




ნახ. 78




ნახ. 79


სპორტის განვითარების რომელი მიმართულება უნდა იყოს პრიორიტეტული სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის?



ნახ. 80



ნახ. 81




ნახ. 82

5. მასობრივი სპორტი

5.1. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშემშლელი მიზეზები


ამ ბლოკის ერთ-ერთი მიზანი იყო მოსახლეობის აზრის გარკვევა მასობრივი სპორტის განვითარების ხელშემშლელი მიზეზების შესახებ. შეთავაზებული შესაძლო მიზეზების ჩამონათვალიდან რესპონდენტებს ვთხოვეთ სამი ძირითადი მიზეზის არჩევა. მიღებული პასუხი წარმოდგენილია 83-ე ნახატზე; ნახ. 84-94 შედეგი ასახულია რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე.

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 83

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 84




ნახ. 85

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 86

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 87

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 88

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 89

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 90

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 91

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?




ნახ. 92

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?



ნახ. 93

რა უშლის ხელს მასობრივი სპორტის განვითარებას?



ნახ. 94


როგორც 83-ნახატიდან ჩანს, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშემშლელ მიზეზებს შორის ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლა, უნივერსიტეტი) ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების სისტემის მოშლა და აქ სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურით (კლუბები, სექციები) სარგებლობის მაღალი ღირებულება, რეგიონში მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის (კლუბები, სექციები) ნაკლებობა. ასეთივეა სურათი თითქმის ყველა რეგიონში. კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმში ორ მთავარ მიზეზად მიჩნეულია რეგიონში მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის (კლუბები, სექციები) ნაკლებობა (33%) და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს არაეფექტური მუშაობა (22%). მცხეთა-მთიანეთში საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების სისტემის მოშლა მხოლოდ 6%-მა დაასახელა, აქ უფრო მნიშვნელოვან მიზეზად ჩაითვალა სპორტული ბაზებისა და მოედნების გასხვისება და ამის შედეგად პროფილის შეცვლა (13%). საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების სისტემის მოშლა აგრეთვე ნაკლებად მნიშვნელოვან მიზეზად მიიჩნეეს სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელოში. დანარჩენი შესაძლო მიზეზები – საცხოვრებელ ადგილას სპორტული მოედნების არარსებობა, სპორტული ბაზებისა და მოედნების გასხვისება და ამის შედეგად პროფილის შეცვლა, ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ინფორმირებულობის დეფიციტი, მოსახლეობის დაბალი ინტერესი, სპორტისა და ახალგაზრდობის

სამინისტროს არაეფექტური მუშაობა ნაკლებად მნიშვნელოვან მიზეზებად იქნა მიჩნეული (პასუხების სიხშირე ერთნიშნა რიცხვით გამოისახა).

დაბოლოს, აღსანიშნავია, ალბათ, ის გარემოება, რომ საკმაოდ ბევრ რესპონდენტს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა.

მომდევნო კითხვა იყო უფრო კონკრეტული და მიზნად ისახავდა მასობრივი სპორტის განვითარების მიმართულებით არსებული პრობლემების დაზუსტებას. ამ შემთხვევაშიც რესპონდენტს შეთავაზებული ჩამონათვალიდან სამი პასუხის არჩევა ვთხოვეთ. მიღებული შედეგი წარმოდგენილია 95-ე ნახატზე.

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 95

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა პასუხი „ყველასთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა/აშენება“ (22%). წინა

კითხვაზე მიღებული პასუხების ფონზე გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ პასუხი „უმაღლეს დაწესებულებებში სრულფასოვანი ფიზკულტურის გაკვეთილების აღდგენა“ მხოლოდ 5%-მა აირჩია. თუმცა, ამ შემთხვევაში, როცა კითხვა ადგილზე არსებულ პრობლემებს ეხებოდა, საერთო სურათი ნაკლებად მნიშვნელოვანია³. პასუხები ამ კითხვაზე რეგიონულ ჭრილში ასახულია ნახ. 96-106.

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 96

როგორც აღმოჩნდა, ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ საერთო სურათი ცალკეულ რეგიონებში არსებულ სურათს შეიძლება სწორად ვერ ასახავდეს, არ დადასტურდა. ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა პასუხი „ყველასთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა/აშენება“. ყველაზე დაბალია სიხშირე პასუხისა „უმაღლეს დაწესებულებებში სრულფასოვანი ფიზკულტურის გაკვეთილების აღდგენა“.


თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?

³ იმის გამო, რომ შეჯამების შედეგად არსებული განსხვავება შეიძლება „გაიკარგოს“.




ნახ. 97

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 98

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 99

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 100

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 101

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 102

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 103

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 104

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?



ნახ. 105

თქვენს ქალაქში/სოფელში რა არის მოსაგვარებელი ამ მიმართულებით?




ნახ. 106

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ჩანს, საბავშვო სპორტთან შედარებით მოზრდილთა სპორტი ნაკლებ ინტერესს იწვევს. კერძოდ, ყველა რეგიონში ფიზკულტურის გაკვეთილების აღდგენა სკოლებში უფრო პრიორიტეტულად არის მიჩნეული, ვიდრე უნივერსიტეტებში. მოზრდილთა სპორტული კლუბები ნაკლებად პრიორიტეტულია, ვიდრე სპორტული სექციები ბავშვებისა და სტუდენტებისათვის.

5.2. მასობრივი სპორტის პრევენციული როლი მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დასაცავად

ერთ-ერთი მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად იზიარებს მოსახლეობა აზრს, რომ სპორტი პრევენციულ როლს თამაშობს მოზარდის მავნე ჩვევებისაგან (მოწევა, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, კრიმინალური გარემო) დაცვის თვალსაზრისით. მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ დიდი უმრავლესობა ამ მოსაზრებას ეთანხმება (ნახ. 83). ამ კითხვაზე პასუხების განაწილება წარმოდგენილია 107-ე ნახატზე.

იცავს თუ არა სპორტში ჩართვა მოზარდს მავნე ჩვევებისაგან (მოწევა, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, კრიმინალური გარემო)?




ნახ. 107

მომდევნო კითხვა უშუალოდ ნარკომანიისაგან დაცვას ეხებოდა (ნახ. 108), ხოლო მე-სამე კითხვა კრიმინალურ საქმიანობაში ჩართვისაგან დაცვას უკავშირდებოდა (ნახ. 109).


როგორც ვხედავთ, დიდი უმრავლესობა აღიარებს სპორტის როლს მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით. ამასთანავე, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება რეგიონების, აგრეთვე დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის არ აღინიშნება.

იცავს თუ არა სპორტში ჩართვა მოზარდს ნარკომანიისაგან?



ნახ. 108


იცავს თუ არა სპორტში ჩართვა მოზარდს კრიმინალურ საქმიანობაში ჩართვისაგან?



ნახ. 109

გარდა ამისა, საჭიროდ მივიჩნით გარკვევა იმისა, თუ რა ძირითადად მიზანს ისახავს მშობელი, როცა შვილს სპორტით აკავებს. სპორტში ჩართვასაც ხომ შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს (სულ მცირე ფსიქოლოგიური), თუ მშობლის ძირითადი მოტივი იქნება იმედი, რომ რომ მისი შვილი ცნობილი სპორტსმენი გახდება... მიღებული შედეგი წარმოდგენილია 110-ე ნახატზე.

მშობლების უმრავლესობა, ძირითადად, რა მიზნით აკავენ შვილს სპორტით?




ნახ. 110

როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობას მიაჩნია, რომ ძირითადი მიზანია ფიზიკური გაჯანსაღება (44%), მავნე ჩვევებისაგან დაცვა (22%), გარეგნობის გაუმჯობესება (9%), ანუ „ხანსალი“, ასე ვთქვათ, მოტივები. პასუხის – „ცნობილი სპორტსმენი რომ გახდეს“ სიხშირე მხოლოდ 14%-ს შეადგენს. რაიმე არსებითი განსხვავება რეგიონების, აგრეთვე დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის არც ამ შემთხვევაში დადასტურდა.


დაბოლოს, რესპონდენტებს ვთხოვეთ სპორტის ცალკეულ სახეობათა (სულ 14 სახეობა) მნიშვნელობის შეფასება მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით. შესაფასებლად გამოყენებულ იქნა 5-საფეხურიანი სკალა პოლუსებით „ძალიან მნიშვნელოვანიდან“ „უმნიშვნელომდე“. მიღებული შედეგი ტექსტის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით სიხშირეთა განაწილების სახით წარმოდგენილია დანართში (იხ. დანართი 1). შედეგი ცალკეული რეგიონების მიხედვით სიხშირეთა განაწილების სახით წარმოდგენილია მე-2 დანართში. აქ კი განვიხილოთ საშუალო მაჩვენებლები (მედიანა), რაც შედარების საშუალებას იძლევა. გამოყენებულ შეფასების სკალაზე მაჩვენებლის 1-ის ტოლი რიცხვითი მნიშვნელობა (და, შესაბამისად, მაჩვენებლის 1-თან მიახლოებული რიცხვითი სიდიდე) შეესაბამება პასუხს „ძალიან მნიშვნელოვანია“; „2“ ნიშნავს „მნიშვნელოვანი“, „3“ – „მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი“, „4“ – „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ და „5“ – „უმნიშვნელო“. საშუალო მაჩვენებლები ასახულია 111-ე ნახატზე. სურათი რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე ასახულია ნახ. 112-122.

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 111

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 112

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 113

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 114

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 115

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 116

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 117

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 118

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 119

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით




ნახ. 120

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით



ნახ. 121

სპორტის ცალკეულ სახეობათა მნიშვნელობა მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვის თვალსაზრისით



ნახ. 122

ამრიგად, თითქმის ყველაგან ყველაზე მნიშვნელოვან სახეობად მიჩნეულია ფეხბურთი, რაგბი და კალათბურთი, ხოლო ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან სახეობად – ჭადრაკი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო ადგილებზე გასულ სახეობათა მაჩვენებლის რიცხვითი მნიშვნელობა (რაჭა-ლეჩხუმის გარდა) 2-ზე დაბალია, ანუ მაინც მნიშვნელოვანია. ყველა რეგიონში, მცხეთა-მთიანეთის გარდა (აქ ის საწყლოსნო სახეობებმა ჩაანაცვლა), პირველ სამეულში შევიდა ფეხბურთი. რაგვი არ მოხვდა პირველ სამეულში ორ რეგიონში – შიდა ქართლსა (რაგვის ნაცვლად აქ ჭიდაობა დასახელდა) და სამეგრელოში (აქ ის საწყლოსნო სახეობებმა ჩაანაცვლა), ხოლო კალათბურთი – ოთხ რეგიონში – კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში (სადაც პირველ სამეულში ჭიდაობა დასახელდა), აგრეთვე სამცხე-ჯავახეთში (აქ ის საწყლოსნო სახეობებმა ჩაანაცვლა).

დაბოლოს, ისევ შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს მხოლოდ რიგითი მოქალაქის სუბიექტურ განწყობასთან, რომელიც შეიძლება სულაც არ ეფუძნებოდეს ობიექტურ მონაცემებს (მოზარდის მავნე ჩვევებისაგან დაცვასთან დაკავშირებით). მაგრამ ამ სუბიექტური განწყობის შედეგი უკვე სავსებით რეალურია – ის მშობელი, რომლისთვისაც შვილის სპორტში ჩაბმის ძირითადი მოტივი იქნება მავნე ჩვევებისაგან მისი დაცვა, უპირატესობის უფრო ამ სახეობებს მიანიჭებს.


5.3. სპორტის ცალკეულ სახეობათა პოპულარობა და ხელმისაწვდომობა

წინა ნაწილში მიღებული შედეგიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ყველაზე პოპულარულია ფეხბურთი, რაგბი და კალათბურთი. თუმცა, ეს შეილება ასე არც იყოს, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოზარდის სპორტში ჩაბმის ძირითადი მოტივია ფიზიკური გაჯანსაღება. ამ ვარაუდის შემოწმების საშუალებას გვაძლევს პასუხები მომდევნო კითხვაზე: „სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?“. ამ შემთხვევაშიც შეთავაზებული 14 სახეობიდან რესპონდენტი სამ პასუხს ირჩევდა. მიღებული შედეგი ასახულია 123-ე ნახატზე.

როგორც ვხედავთ, ჩვენი ვარაუდი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა: პირველ სამეულში შევიდა ფეხბურთი, საწყლოსნო სახეობები, ჭადრაკი და ჭიდაობა. ამასთანავე, ფეხბურთი, როგორც ჩანს, „უპირობო ლიდერია“.


შედეგები რეგიონულ ჭრილში წარმოდგენილია ნახ. 124-134. რაიმე არსებითი განსხვავება რეგიონებს შორის არ დასტურდება. განსხვავება არც გენდერულ და არც ასაკობრივ ჭრილში დასტურდება (ნახ. 125-136).

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 123

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 124

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 125

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 126

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 127

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 128

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 131

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 132

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 133

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?




ნახ. 134

სპორტის რომელი სახეობით დააკავებდით თქვენ შვილს?



ნახ. 135




ნახ. 136

შემდეგი კითხვის მიზანი იყო გარკვევა იმისა, არსებობს თუ არა მათ ქალაქში/სოფელში პირობები ბავშვის სპორტით დასაკავებლად. მიღებული შედეგი სიხშირეთა განაწილების სახით წარმოდგენილია დანართში (იხ. დანართი 1).

როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მძიმე მდგომარეობაა სათხილამურო სპორტთან დაკავშირებით: 56%-ის თქმით, შესაბამისი პირობები მათ ქალაქში/სოფელში არ არსებობს. პირობების არარსებობის მხრივ მეორე ადგილზე გავიდა საწყლოსნო სახეობები (46%). ჩოგბურთის შემთხვევაში პირობების არარსებობაზე მიუთითებს 42%, ხელბურთის – 36%, კრივის – 30%, ძალოსნობის, მძლეოსნობისა და რაგბის – 29%, კალათბურთისა და ქართული ჭიდაობის – 22%, ჭადრაკის – 21%, ძიუდოს – 20%. როგორც ჩანს, პირობების არარსებობის თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობაა, როგორც ჩანს, ჭიდაობისა (15%) და ფეხბურთის შემთხვევაში (14%).

მიღებული სურათის უფრო ნათლად წარმოსადგენად ამ შემთხვევაშიც გამოვითვალეთ საშუალო მაჩვენებლები (მედიანა). გამოყენებულ 3-საფეხურიან სკალაზე 1-ის ტოლი (მასთან მიახლოებული) რიცხვითი მნიშვნელობა შეესაბამება პასუხს „დიახ, პირობები არსებობს“; „0“ (მასთან მიახლოებული) მაჩვენებელი ნიშნავს პასუხს „მეტ-ნაკლებად არსებობს“, ხოლო უარყოფითი მაჩვენებელი (მაქსიმალური უარყოფითი მაჩვენებელი „-1“-ის ტოლია) გამოხატავს პასუხს „არა, პირობები არ არსებობს“ (ნახ. 137).

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პირობები ბავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 137

ამრიგად, მიღებული შედეგიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სათანადო პირობები არ არსებობს შვილის კრივით, მძლეოსნობით, ძალოსნობით, ხელბურთით, ჩოგბურთით, საწყლოსნო სახეობებითა და სათხილამურო სპორტით დასაკავებლად. კარგი ისაა, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიღებულია ყველაზე პოპულარული სახეობის – ფეხბურთის შემთხვევაში.

თუმცა, ამ შემთხვევაშიც საერთო სურათი ნაკლებად სანდოა და აუცილებელია შედეგის განხილვა რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე (ნახ. 138-148).


თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პირობები ბავშვის სპორტით დასაკავებლად?



ნახ. 138


როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე კარგი მდგომარეობაა თბილისში, ხოლო ყველაზე ცუდი – რაჭა-ლეჩხუმში, სადაც მეტ-ნაკლებად პირობები არსებობს მხოლოდ ფეხბურთისათვის. კიდევ ორ რეგიონში – შიდა ქართლსა და სამეგრელოში მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ორი სახეობა, მათ შორის ფეხბურთი. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აჭარასა და იმერეთში, სადაც 14 სახეობიდან ხელმისაწვდომია ცხრა. აღსანიშნავია ისიც, რომ პოპულარობით პირველ ხუთეულში შესული საწყლოსნო სახეობები რეგიონებში ხელმისაწვდომი არ არის.

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობლემა ზავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 139

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობლემა ზავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 140

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობლემა ბავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 141

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობლემა ბავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 142

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობლემა ბავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 143

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობლემა ბავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 144

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობლემა ბავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 145

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობლემა ბავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 146

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობები ზავშვის სპორტით დასაკავებლად?



ნახ. 147

თქვენ ქალაქში/სოფელში არსებობს თუ არა პრობები ზავშვის სპორტით დასაკავებლად?




ნახ. 148

6. პროფესიული სპორტი

ამ ბლოკის ერთ-ერთი მიზანი იყო მოსახლეობის აზრის გარკვევა პროფესიული სპორტის ცალკეულ სახეობებთან დაკავშირებით. კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ახლა კი რამდენიმე კითხვა პროფესიული სპორტის შესახებ. თქვენი აზრით, საქართველოში სპორტის რომელი სახეობის განვითარებას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი პირველ რიგში?“ შეთავაზებული ჩამონათვალიდან რესპონდენტი სამ სახეობას ირჩევდა (ნახ. 149).

სპორტის რომელი სახეობის განვითარებას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი პირველ რიგში?




ნახ. 149

ამრიგად, პროფესიული სპორტის შემთხვევაშიც ისეთ უპირობო ლიდერია ფეხბურთი. უცვლელია, ფაქტობრივად, პირველი ხუთეულიც. რაიმე არსებითი განსხვავება რეგიონების, აგრეთვე დემოგრაფიული ნიშნებით გამოყოფილ ჯგუფებს შორის არ დასტურდება.

შემდეგი ორი კითხვა უშუალოდ ფეხბურთს ეხებოდა. პირველი კითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რას მიიჩნევს მოსახლეობა უფრო პრიორიტეტულად – პროფესიული თუ მასობრივი ფეხბურთის განვითარებას. მიღებული შედეგი წარმოდგენილია 150-ე ნახატზე. როგორც ვხედავთ, აშკარა უპირატესობა მასობრივ ფეხბურთს, მასში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართვას მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ეს ეხება არა მარტო ფეხბურთს, არამედ სხვა სახეობებსაც: მასობრივი სპორტის განვითარების პრიორიტეტი მაღალი მიღწევების სპორტთან შედარებით ზემოთაც დადასტურდა (იხ. ნახ. 76). რაიმე არსებითი განსხვავება რეგიონების, აგრეთვე

დემოგრაფიული ნიშნებით გამოყოფილ ჯგუფებს შორის არც ამ შემთხვევაში გამოვლინდა.

თქვენი აზრით, რა უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს სახელმწიფოსთვის:




ნახ. 150

პროფესიულ ფეხბურთთან დაკავშირებული მეორე კითხვა ეხებოდა გამოყოფილი სახსრების განაწილებას და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „როგორ განაწილებდით ფეხბურთის განვითარებაზე გამოყოფილ სახსრებს?“. პასუხები ამ კითხვაზე ასახულია ნახ. 151-156.


როგორ განაწილებდით ფეხბურთის განვითარებაზე გამოყოფილ სახსრებს?

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები




ნახ. 151

პროფესიული საფეხბურთო კლუბები




ნახ. 152

საბავშვო საფეხბურთო სკოლები




ნახ. 153

საცხოვრებელ უბნებში სტადიონების აღდგენა-აშენება




ნახ. 154

სტუდენტური ფეხბურთის განვითარება



ნახ. 155

არაპროფესიული საფეხბურთო გუნდების მხარდაჭერა



ნახ. 156

მიღებული შედეგიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის აზრით, ფეხბურთზე გამოყოფილი სახსრები შეთავაზებული ექსპსი მიმართულებიდან ხუთის მიხედვით თანაბრად უნდა განაწილდეს. ყველაზე ნაკლები თანხმა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების განვითარებისათვის „გამოიყო“: მას იგივე თანხა (10-20%), რაც ხუთ დანარჩენ მიმართულებას, მხოლოდ 24%-მა „გამოიყო“.

7. სამინისტროს ახალგაზრდული პროგრამების შეფასება

რესპონდენტებს ვთხოვეთ სანინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა (სულ 15 მიმართულება) მნიშვნელობის შეფასება. შესაფასებლად გამოყენებულ იქნა 5-საფეხურიანი შეფასების სკალა – „ძალიან მნიშვნელოვანიდან“ „უმნიშვნელომდე“. მიღებული შედეგი სიხშირეთა განაწილების სახით წარმოდგენილია დანართში (იხ. დანართი 1).


უნდა ითქვას, რომ თხუთმეტივე მიმართულება შეფასდა, როგორც „მნიშვნელოვანი“. ამ შემთხვევაში შედეგის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისა და, რაც მთავარია, თითოეული პროგრამის შეფასების მაჩვენებლების შედარების მიზნით გამოთვლილ იქნა საშუალო მაჩვენებლები (მედიანა). გამოყენებულ შეფასების სკალაზე მაქსიმალური დადებითი შეფასება („ძალიან მნიშვნელოვანი“) 1-ის ტოლია. მაჩვენებლის „2“-ის (და მასთან მიახლოებული რიცხვითი სიდიდის) ტოლი სიდიდე შეესაბამება პასუხს „მნიშვნელოვანია“, „3“ (და მასთან მიახლოებული რიცხვითი სიდიდე) ნიშნავს „მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია“, „4“ – „ნაკლებად მნიშვნელოვანია“, ხოლო „5“ – „უმნიშვნელო“. მიღებული შედეგი წარმოდგენილია 157-ე ნახატზე.

როგორც ვხედავთ, მნიშვნელობის მიხედვით პირველ ადგილზე გავიდა ორი პროგრამა: რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა და მზრუნველობა მოკლებული და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა, რომელთა შეფასების რიცხვითი მაჩვენებელი 1.45-ის ტოლია, რაც შეესაბამება შუალედურ პოზიციას „ძალიან მნიშვნელოვანსა“ და „მნიშვნელოვანს“ შორის. მეორე ადგილი გაიყო ორმა პროგრამამ: რეგიონებში ახალგაზრდული ცენტრების შექმნა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამა. ბოლო ორი ადგილი გაიკავა ასევე ორმა პროგრამამ: საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა („იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“) და არაფორმალური განათლების განვითარების პროგრამა. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამ შემთხვევაში ბოლო

ადგილი არ ნიშნავს უარყოფით შეფასებას: შეფასების რიცხვითი მაჩვენებელი დაახლოებით 2-ის ტოლი, რაც შეესაბამება შეფასებას „მნიშვნელოვანია“.


შეფასების საშუალო მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე წარმოდგენილია ნახ. 158-168.

სანინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 157

სანიღისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 158

სანიინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 159

სანიისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 160

სანიისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 161

საინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 162

სანინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 163

სანინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 164

სანიისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 165

სანინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება




ნახ. 166

სანინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება



ნახ. 167

სანინისტროს ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებათა მნიშვნელობის შეფასება



ნახ. 168

როგორც 158-168 ნახატებიდან ჩანს, რაიმე არსებითი განსხვავება რეგიონებს შორის არ აღინიშნება. ყველა რეგიონში ბოლო ორი ადგილი გაიკავა ორმა პროგრამამ: საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა („იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“) და არაფორმალური განათლების განვითარების პროგრამა. ამასთანავე, კახეთსა და გურიაში ამ პროგრამის მნიშვნელობა უახლოვდება შეფასებას „მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია“.

შეფასების საშუალო მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე წარმოდგენილია ნახ..

მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამა. ბოლო ორი ადგილი გაიკავა ასევე ორმა პროგრამამ: საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა („იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“) და არაფორმალური განათლების განვითარების პროგრამა. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამ შემთხვევაში ბოლო ადგილი არ ნიშნავს უარყოფით შეფასებას: შეფასების რიცხვითი მაჩვენებელი დაახლოებით 2-ის ტოლი, რაც შეესაბამება შეფასებას „მნიშვნელოვანია“.

შეფასების საშუალო მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე წარმოდგენილია ნახ. 158-168.

მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამა. ბოლო ორი ადგილი გაიკავა ასევე ორმა პროგრამამ: საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა („იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“) და არაფორმალური განათლების განვითარების პროგრამა. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამ შემთხვევაში ბოლო ადგილი არ ნიშნავს უარყოფით შეფასებას: შეფასების რიცხვითი მაჩვენებელი დაახლოებით 2-ის ტოლი, რაც შეესაბამება შეფასებას „მნიშვნელოვანია“.

ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე არსებითი განსხვავება დემოგრაფიული ნიშნებით (ასაკის ჩათვლით) გამოყოფილ ჯგუფებს შორის არ აღინიშნება.


8. ჯანსაღი ცხოვრების წესი

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ცნება „ჯანმრთელობა“ განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, როგორც **ჯანსაღი ქცევა** და სტრესის არარსებობა (ჰიუსტონი, შტრობე, 2004). ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანის ჯანმრთელობა და, შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობა, 50%-ით განისაზღვრება ცხოვრების წესით (რამდენად მისდევს ის ჯანსაღი ცხოვრების წესს), 20%-ით – გენეტიკური ფაქტორით, კიდევ 20%-ით – ცხოვრების პირობებით (ეკოლოგია, კლიმატი, საცხოვრებელი ადგილი) და მხოლოდ 10%-ით ჯანდაცვის სისტემის

მდგომარეობით. შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორია ადამიანის ქცევა და, ამდენად, მის საფუძვლად მდებარე დამოკიდებულება (განწყობა) საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. ჯანსაღი, ანუ „ჯანმრთელობის დამცავი“, ქცევა გულისხმობს ხუთ ძირითად კომპონენტს: რაციონალური კვება, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა, პირადი ჰიგიენა, ორგანიზმის გაკაჟება და მავნე ჩვევებზე უარის თქმა. ამ ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობა ეფუძნება, უპირველეს ყოვლისა, ქცევაზე ჯანმრთელობის დამოკიდებულების ინდივიდუალურ გაცნობიერებას, მაგრამ ამ ინდივიდუალური განწყობის ჩამოყალიბებაში, სხვა ნებისმიერი განწყობის მსგავსად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალურ-კულტურულ კონტექსტს. კულტურა (მასში გაბატონებული წარმოდგენები, სტერეოტიპები და ა.შ.) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობის განცდაზე (Inglehart & Baker, 2000; Harrison, 2000; Inglehart & Klingeman, 2000; Shane, 1992; Diener & Suh, 2000; Triandis, 1996; Cockerham, 1999). ქართველებისათვის დამახასიათებელ ქცევას ძნელია უწოდო „ჯანსაღი“ – თუნდაც „სუფრის“ ტრადიციის გამო...

შესაბამისად, წინამდებარე ბლოკის მიზანი იყო გარკვევა იმისა, თუ რამდენად აცნობიერებს მოსახლეობა ადამიანის ჯანმრთელობის დამოკიდებულებას მის ქცევაზე, რამდენად დამახასიათებელია ჯანმრთელობის შენარჩუნების, დაცვის მოტივაცია (ჯანსაღი ქცევის განწყობა). პასუხები პირველ კითხვაზე, რომელიც ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ფაქტორებს, წარმოდგენილია 169-ე ნახატზე.

სიცოცხლის ხანგრძლივობის განმსაზღვრელი ფაქტორები




ნახ. 169

როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა ნახევარი ჯანსაღი ცხოვრების წესის განმსაზღვრელ მნიშვნელობას სიცოცხლის ხანგრძლივობაზე აცნობიერებს. მაგრამ მაინც

საკმაოდ დიდია იმ ადამიანთა წილი, ვინც სიცოცხლის ხანგრძლივობას უკავშირებს, ძირითადად, ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობას (32%). გენდერული განსხვავება ამ კუთხით არ გამოვლინდა. დასტურდება განსხვავება, თუმცა უმნიშვნელო, ასაკის, განათლებისა და მატერიალური მდგომარეობის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის. კერძოდ, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით 18-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში უფრო მეტი რესპონდენტი სიცოცხლის ხანგრძლივობას უკავშირებს ჯანსაღი ცხოვრების წესს. საშუალო განათლების მქონე პირთა ჯგუფში უფრო ნაკლებია იმ პირთა რიცხვი, ვინც განმსაზღვრელ მნიშვნელობას ჯანსაღი ცხოვრების წესს მიაწერს. რაც შეეხება მატერიალური მდგომარეობის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს, კარგი მატერიალური მდგომარეობის მქონე პირებს შორის უფრო მცირეა იმ პირთა რიცხვი, ვინც განმსაზღვრელ ფაქტორად ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობა მიიჩნია; გარდა ამისა, ამ ჯგუფში უფრო მეტმა უფრო განმსაზღვრელ ფაქტორად ეკოლოგიური პირობები ჩათვალა.

მეორე კითხვა უშუალოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მნიშვნელობას ეხებოდა; რესპონდენტებს ვთხოვეთ იმის შეფასება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა. მიღებული შედეგი ასახულია ნახ. 170.

რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა?



ნახ. 170

როგორც ამ კითხვაზე გაცემული პასუხებიდან ჩანს, მოსახლეობის უმრავლესობა (64%) ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების მნიშვნელობას კარგად აცნობიერებს,

თუმცა მაინც მაღალია იმ პირთა წილი, ვისაც ეს ეს სასიცოცხლოდ არ მიაჩნია (მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეოთხედი – რესპონდენტთა 26%). მსგავსია სურათი ცალკეულ რეგიონებშიც: ყველა რეგიონში, გარდა ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთისა, უმრავლესობამ აირჩია პასუხი „ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს არის ერის გადარჩენის უცილობელი პირობა“. რაც შეეხება ქვემო ქართლს, აქ ეს პასუხის სიხშირემ შეადგინა 52%, ხოლო მცხეთა-მთიანეთში – მხოლოდ 30%. ქვემო ქართლში საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრება სასიცოცხლოდ არ მიაჩნია 32%-მა, მცხეთა-მთიანეთში კი – 54%.

გენდერული და ასაკობრივი განსხვავება ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოვლინდა. აღინიშნა განსხვავება, თუმცა ნაკლებად მნიშვნელოვანი, განათლების მიხედვით: განათლების დონის ზრდის კვალობაზე ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას სასიცოცხლო მნიშვნელობას უფრო მეტი რესპონდენტი ანიჭებს.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობა აცნობიერებს ადამიანის ჯანმრთელობის დამოკიდებულებას მის ქცევაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების აუცილებლობას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარია. ჯერ ერთი, გასარკვევია, რამდენად სწორად არის გაგებული ეს ცნება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ განწყობა სამი კომპონენტისაგან შედგება: კოგნიტური, ემოციური და ქცევითი; თუ კოგნიტური და ემოციური კომპონენტი ერთმანეთს არ ემთხვევა, ქცევა სწორედ ემოციური კომპონენტით განისაზღვრება⁴. შესაბამისად, სწორად გაგება ყოველთვის როდი ნიშნავს იმას, რომ ქცევა ამ სწორი გაგების შესაბამისი იქნება...


აქედან გამომდინარე, ამ ბლოკში შემავალი მომდევნო კითხვები მიზნად ისახავდა მავნე ჩვევებზე (მოწევა, ალკოჰოლის უკონტროლო მოხმარება) უარის თქმის მზაობის, აგრეთვე ჯანსაღი ცხოვრების წესის კიდევ ერთ კომპონენტთან – რეგულარულ ფიზიკურ დატვირთვასთან – დაკავშირებული საკითხების შესწავლას⁵.

პირველი კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „პირადად თქვენ ხართ თუ არა ჩართული რაიმე სპორტულ აქტივობაში/ვარჯიშობთ?“. მიღებული შედეგი ასახულია 171-ე ნახატზე.

პირადად თქვენ ხართ თუ არა ჩართული რაიმე სპორტულ აქტივობაში/ვარჯიშობთ?

⁴ მაგალითად, მვეველმა შესანიშნავად იცის, რომ მოწევა მავნეა ჯანმრთელობისათვის – ეს მოწევის მიმართ განყოფილების კოგნიტური კომპონენტია. მაგრამ ის ახერხებს არერთი საბაბით „დასაბუთებას“ (თავისი თავისათვის!), რომ მოწევაზე უარის თქვა მას უფრო დააზარალებს (ემოციური კომპონენტი).


⁵ გასაგები მიზეზის გამო (ვგულისხმობს მოსახლეობის დიდი ნაწილის მატერიალურ მდგომარეობას) კითხვა რაციონალურ კვების შესახებ კითხვარში შეტანილი არ იყო.



ნახ. 171

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია: რეგულარულად ვარჯიშობს მხოლოდ 19%, ხოლო 61% საერთოდ არ ვარჯიშობს. ამასთანავე, რაიმე არსებითი განსხვავება დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის, ასაკის გარდა, არ აღინიშნება. რაც შეეხება ასაკს, შესაბამისი მონაცემები წარმოდგენილია 172-ე ნახატზე.

პირადად თქვენ ხართ თუ არა ჩართული რაიმე სპორტულ აქტივობაში/ვარჯიშობთ?




ნახ. 172

ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ასაკობრივი განსხვავება, როგორც 172-ე ნახტიდან ჩანს, მნიშვნელოვანი არ არის: 25 წლამდე ახალგაზრდების ჯგუფშიც კი რეგულარულად მხოლოდ 32% ვარჯიშობს.

პასუხები კითხვაზე, რატომ არ ვარჯიშობენ, ასახულია 173-ე კითხვაზე.

რატომ არ ხართ ჩართული რაიმე სპორტულ აქტივობაში/არ ვარჯიშობთ?



ნახ. 173


როგორც ვხედავთ, სახეზეა ზემოთ აღწერილი შემთხვევა, როცა განწყობის კოგნიტური და ემოციური კომპონენტი ერთმანეთს არ ემთხვევა. ვგულისხმობთ იმას, რომ ვარჯიში აუცილებლად არ მიაჩნია (კოგნიტური კომპონენტი) მხოლოდ 2%-ს, დანარჩენები კი ამის საჭიროებას აცნობიერებენ, მაგრამ სხვადასხვა საბაბით („დრო არ მრჩება“ – 21%, „ისე ვიღლები, რომ ვარჯიშის თავი არა მაქვს“ – 7%, „ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მიწყობს ხელს“ – 7%, „ასაკი არ მიწყობს ხელს“ – 19%) ამართლებენ თავის ქცევას.

ანალოგიურია სურათია ახალგაზრდებიც ჯგუფშიც (ნახ. 174).

პასუხები კითხვაზე – „ძირითადად რა მიზნით ვარჯიშობთ“ (ნახ. 175-176) ცხადყოფს, რომ წამყვანი მოტივია „გაღანსაღება“.


დაბოლოს, ნიშანდობლობია, ალბათ, ისიც, რომ ასეთ მარტივ კითხვებზე ბევრმა პასუხის გაცემა არ მოინდომა.

რატომ არ ხართ ჩართული რაიმე სპორტულ აქტივობაში/არ ვარჯიშობთ?




ნახ. 175

ძირითადად რა მიზნით ვარჯიშობთ?



ნახ. 176


ძირითადად რა მიზნით ვარჯიშობთ?



ნახ. 177


მომდევნო კითხვა ეხებოდა დასვენებას: „როცა დაღლილი ხართ, რა გირჩევნიათ – პასიური თუ აქტიური დასვენება?“ (ნახ. 178-179).

როცა დაღლილი ხართ, რა გირჩევნიათ – პასიური თუ აქტიური დასვენება?“



ნახ. 178

როცა დაღლილი ხართ, რა გირჩევნიათ – პასიური თუ აქტიური დასვენება?“



ნახ. 179


როგორც ვხედავთ, უმრავლესობა უპირატესობას პასიურ დასვენებას ანიჭებს; მართალია, მათი რიცხვი ასაკის ზრდის კვალობაზე მატულობს, მაგრამ ახალგაზრდებს შორისაც სიხშირე პასუხისა „აქტიური“ საკმაოდ დაბალია.

მომდევნო კითხვები მავნე ჩვევებს ეხებოდა – მოწევასა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარებას. მოწევასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხების განაწილება ასახულია 180-ე ნახატზე. ამ კითხვაზე პასუხების სიხშირეთა განაწილება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში წარმოდგენილია 181-ე ნახატზე.

უმრავლესობა (62%) აცნობიერებს მოწვევის უარყოფით შედეგებს ჯანმრთელობასა და, შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. თუმცა, ეს, რა საკვირველია, სულაც არ ნიშნავს, რომ მათ შორის მწეველი არ არის. სამაგიეროდ დიდია ალბათობა იმისა, რომ ის 25%-ს შორის, ვინც აირჩია მეორე პასუხი („ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვერ დავეთანხმები აზრს, რომ არამწეველი უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე მწეველი“ – მოწვევის მიმართ განწყობის ემოციური კომპონენტის შესაბამისი), უმრავლესობა მწეველია. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდებს შორის მოწვევის მიმართ


ნეგატიური განყოფილების მქონე პირთა რიცხვი ნაკლებია, ვიდრე დანარჩენ ასოკობრივ ჯგუფებში.

რომელ მოსაზრებას უფრო ეთანხმებით?



ნახ. 180

რომელ მოსაზრებას უფრო ეთანხმებით?




ნახ. 181

სახეზაფიზიკური დატვირთვა, კომენტარიჯანსაღი, ანუ „ჯანმრთელობის დამცავი“, ქცევა გულისხმობს ხუთ ძირითად კომპონენტს: რაციონალური კვება, რეგულარული პირადი ჰიგიენა, ორგანიზმის გაკაჟება და მავნე ჩვევებზე უარის თქმა.


პასუხები ალკოჰოლური სასმელების მოხმარებასთან დაკავშირებულ ანალოგიურ კითხვაზე წარმოდგენილია 182-ე ნახატზე. გასაგებია, რომ ქეიფი ალკოჰოლის ზომიერ მოხმარებას არ გულისხმობს. პასუხები ამ კითხვაზე ასაკობრივ ჯგუფში ასახულია 183-ე ნახატზე; შეჯამებული სახით ეს მაჩვენებლები ასახულია 184-ე ნახატზე.

ზოგადად ქეიფის მოყვარული უფრო ნაკლებ ხანს ცოცხლობს, ვიდრე ის, ვისაც დალევა არ უყვარს




ნახ. 182

ზოგადად ქეიფის მოყვარული უფრო ნაკლებ ხანს ცოცხლობს, ვიდრე ის, ვისაც დალევა არ უყვარს



ნახ. 183

ზოგადად ქეიფის მოყვარული უფრო ნაკლებ ხანს ცოცხლობს, ვიდრე ის, ვისაც დასვენება არ უყვარს



ნახ. 184

როგორც 182-ე ნახატიდან ჩანს, ალკოჰოლის მავნე გავლენას ჯანმრთელობასა და, შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე 50% აცნობიერებს, მაშინ როცა მოწევის შემთხვევაში მაჩვენებელი 62%-ს შეადგენდა. ეს ნაწილობრივ მაინც ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს ქეიფის ტრადიციის გავლენის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ასაკობრივი განსხვავება ამ საკითხთან დაკავშირებით არ აღინიშნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიღებული შედეგი იმის დასტურია, რომ საქართველოს მოსახლეობას შორის ჯანსაღი წესის მიმდევარი არც თუ ისე ბევრია. ყველაზე საყურადღებო შედეგი კი ისაა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის – ახალგაზრდა თაობის – ჯანსაღი ქცევის განმსაზღვრელი განწყობა უმნიშვნელოდ განსხვავდება ხანდაზმულთა განწყობისაგან...